

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 00 77 95

N 41
27/01/2017

41-07-3-201701271621



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ზესიკ ტაბიძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ზესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 24 იანვარს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ სხდომა №1.

დანართი: სხდომის ოქმი № 1–9 (ცხრა) ფურცელი

პატივისცემით,

ელგუჯა ჩხაიძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ლანჩხუთი-ევრო ატლანტიკური მომავლისთვის"

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“
სხდომის ოქმი №1**

ქ.ლანჩხუთი

24 .01.2017 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე.

ფრაქციის წევრები: გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა.

მოწვეული პირები: გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების , კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საორგანიზაციო განყოფილებაში საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარი სპეციალისტი მაია კუპატაძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკომიგრანტების 2017-2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

4.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

5. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველ საკითხზე – „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ მოზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების პროექტი. სულ წარმოდგენილია 12 პროგრამა. ეს პროგრამებია:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის მიზანს წარმოდაგენს ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები და რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოხუცების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დღეში ერთჯერადი კვება უფასო სასადილოში პროგრამით ისარგებლებს 98 ბენეფიციარი;
2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა რაც აუმჯობესებს დემოგრაფიულ მდომარეობას. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 29 ოჯახი.
3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული, ხანძრისა და მწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დახმარება. ბენეფიციარებზე ბინის ქირის გადახდა. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 33 ბენეფიციარი.
4. სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა; პროგრამის მიზანია სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით ისარგებლებს 60 ბენეფიციარი.
5. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის მიზანია მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა. პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას (29 მოსწავლე).
6. ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა; პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ცენტრ იავნანაში დარეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსოქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და გადასახადები, ასევე დაფინანსდება ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების ღირებულება.
7. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის მიზანია თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა ტრანსპორტირების დაფინანსება ჰემოდიალიზის ჩასატარებლად. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 21 ბენეფიციარი.
8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ფინანსური დახმარება. ოჯახები რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ერთჯერადად საშემე მერქნის შესაძენად მიიღებენ ფინანსურ დახმარებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 64 ოჯახი.
9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქეების სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება. გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალურ-ამბულატორიული მომსახურება და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება.
10. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. ამავე პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში.

11. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის. პროგრამის მიზანია ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრენინგს, ფსიქოლოგიურ ტრენინგს, მონაწილეობას მხარდაჭერ საინფორმაციო -საგანმანათლებლო ღონისძიებებში, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში.

12. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკის გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადად დახმარება. მუნიციპალიტეტში ასეთი სულ 4 ხანდაზმულია.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა წინა წელთან შედარებით დაემატა თუ არა ახალი პროგრამები სოციალური პროგრამების პაკეტს და როგორია მათი გაცემის წესი, რაზეც გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ გასული წლის მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამებს დაემატა სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა, რომლის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომლებსაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა და სადაზღვევოს მიერ თანხა არ უფინანსდება ან უფინანსდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%-ი არაუმეტეს 500 ლარისა. ასევე ბენეფიციართათვის, რომლებსაც ესაჭიროება გადაუდებელი სტაციონალურ-ამბოლატორიული მომსახურება და ლაბორატორიულ-ინტრუმენტული კვლევები, მათ შორის C-ჰეპატიტით დაავადებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს დიაგნოსტიკური კვლევების ჩასატარებლად, მკურნალობის პრაქტიკის განსაზღვრისათვის, სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება განისაზღვრება 50%-ით არაუმეტეს 500 ლარისა. ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს განცხადება, სამკურნალო დაწესებულების ანგარიშგაქტურა და კალკულაცია, განმცხადებლის, პაციენტის პირადობის მოწმობის ასლები, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ცნობა ჯამრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა ასი), ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე გარკვეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესიდან ამოღებულია მაჯორიტარი დეპუტატის შუამდგომლობა, რაც არასწორად მიაჩნია, ვინაიდან დეპუტატს აქვს პასუხისმგებლობა თავისი ამომრჩევლის წინაშე. მან მიმართა თამარ ფირცხალაიშვილს, რომ მოხდეს საკრებულოს წევრის შუამდგომლობის ჩაწერა სოციალური დახმარებისა და გაცემის წესში, რასაც ფრაქციის წევრებიც დაეთანხმნენ.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ სახალხო დამცველის აპარატიდან იყო მითითებები მუნიციპალიტეტის მიმართულებით, რომ მოხდეს რეინტეგრაცია იმ ბავშვებისა, რომლებიც დროებით იმყოფებიან მინდობით აღზრდაში, ხდება ამ ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, რისთვისაც საჭიროა მოხდეს მუნიციპალიტეტის მიერ დახმარების გაწევა. მან აღნიშნა, რომ სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შემდეგ სამსახური დაუკავშირდება სოციალურ მომსახურების სააგენტოს და გამოითხოვს ასეთი ბავშვების შესახებ ინფორმაციას, რის შემდეგაც გადაწყდება რამდენი ბავშვი შეძლებს რეინტეგრაციას, რაშიც მონაწილეობას მიიღებს მუნიციპალიტეტი და ისედაც მძიმე საცხოვრებელ პირობებში მქონე ოჯახებს დაეხმარება საჭიროებისამებრ.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ ხდება სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცება, გამგეობაში კი შექმნილია კომისია, რომელიც მასზე დაკისრებულ ფუნქციას ჯეროვნად არ ასრულებს, კანონის შესაბამისად განცხადებების განხილვას უნდა აწარმოებდეს სოციალური სამსახური. მისი მოსაზრებით სოციალური კომისია არ უნდა ფუნქციონირებდეს, ვინაიდან ხდება გადაბრალება და მოქალაქეს ეუბნებიან კომისიამ არ მიიჩნია თქვენი განცხადების დაკმაყოფილებაო.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების , კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ მის მიერ საკრებულოში შემოტანილი იქნა პროექტი და უმრავლესობის გადაწყვეტილება იქნება გათვალისწინებული და შესაბამისად მოხდება აღნიშნული პროექტის ჩასწორება.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების , კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ 2017 წლის პროექტით სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 50000 ლარით. ზემოაღნიშნული ბიუჯეტით გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა შეჭირვებული ოჯახების(55 ბენეფიციარი), სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების შეჭირვებული ოჯახებისათვის (5 ბენეფიციარი, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება.პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდი ვეტერანებისათვის ყოველთვიურად 100 ლარით დახმარება. მან აღნიშნა, რომ სოციალური სამსახური შემოდის წინადადებით აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთოს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები (სულ 13ვეტერანი), რომლებიც ისარგებლებენ ყოველთვიურად 50 ლარით დახმარებით, რისთვისად დამატებით საჭიროა პროგრამის ბიუჯეტის 5000 ლარით გაზრდა.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

ფრაქციის წევრების მიერ დადგენილების პროექტი არ იქნა მხარდაჭერილი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების , კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების სოციალურ-კულტურულ, სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სხვადასხვა პროგრამიდან თანხის გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს ღონისძიებათა დაფინანსების ძირითად მოთხოვნებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებია:

ა) საჩუქრებისა და პრიზების შეძენის პროგრამა; პროგრამის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე და სადღესასწაულო დღეებზე ლანჩხუთელი სპორტსმენებისა და ახალგაზრდების წარმატების წახალისება სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.

ბ) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა; პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა თანადაფინანსებით.

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა; პროგრამის მიზანია შ.შ.მ. ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია. მათში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. ნიჭიერი ახალგაზრდების მოტივირება. არაფორმალური განათლების მიღება, სპეციალური გადამზადება და შემეცნებითი აქტივობები.

დ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ჩატარების პროგრამა; პროგრამის მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტში მასობრივი ჩართვა და სასკოლო სპორტის განვითარების ხელშეწყობა, მოზარდ თაობაში და საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

ე) წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამა; პროგრამის მიზანია ყველა წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი, რაც ხელს შეუწყობს სპორტის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდა სპორტსმენებში მოტივაციის გაზრდა, იყენენ წარმატებულები.

ვ) შემოქმედთა წახალისების პროგრამა; პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებზე და სადღესასწაულო დღეებზე მოსწავლე-ახალგაზრდებისა და შემოქმედთა წარმატებების წახალისება, მათ შორის მუნიციპალიტეტში

რეგისტრირებული იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით მიიღებენ სახელწიფო 100 % გრანტს. ასევე წარმატებული ახალგაზრდების წახალისება ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.

ზ) ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა; პროგრამის მიზანია მოქალაქეთა კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ტრანსპორტირებით ხელშეწყობა.

თ) კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა; პროგრამის მიზანია მოქალაქეთა კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა თანადაფინანსების გზით.

ი) სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა; პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სხვადასხვა ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავი ღონისძიებების გამართვა.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა პროგრამიდან დაფინანსების მისაღებად დაინტერესებული პირი (კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორი ან სამსახური, ვის მიერაც ხდება სამიზნე ჯგუფის შერჩევა), წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ღონისძიების დაფინანსების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორის განცხადებას, თან უნდა ახლდეს ჩასატარებელი ღონისძიებების პროგრამა. კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორის განცხადებას თან უნდა ახლდეს ჩასატარებელი ღონისძიების პროგრამა. სამიზნე ჯგუფის შერჩევა და დაფინანსების მოთხოვნა პროგრამიდან ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის შუადგომლობით. შესაბამისი სამსახური უზრუნველყოს სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა პროგრამებიდან დაფინანსების მოთხოვნელთა განცხადებების განხილვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა სოციალურ სამსახურს მიუძღვის თუ არა მონაწილეობა პროექტ „ნიჭიერში“ მონაწილე ლანჩხუთელი მარიამ ურუშაძის ხმების მოპოვებაში, სამსახურის მიერ მოხდა თუ არა მარიამ ურუშაძესთან შეხვედრა და მისთვის 500 ლარის გადაცემა მაინც, რომ მონაწილეს გადაადგილებაში პრობლემა არ შექმნოდა, დეპუტატის თქმით ოჯახს გააჩნია ფინანსური პრობლემები, რაზეც თამარ ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ თანამშრომლების მიერ ხდებოდა „facebook“ გვერდზე გაზიარებები და ხმების მიცემა, ასევე სამსახური აპირებს ფინანსისთვის მარიამ ურუშაძის მხარდასაჭერი ღონისძიების მოწყობას.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

ფრაქციის წევრების მიერ დადგენილების პროექტი არ იქნა მხარდაჭერილი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკომიგრანტების 2017-2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ეკომიგრანტების და შესაძლო ეკომიგრანტების წინამდებარე სტრატეგიული გეგმა მომზადებული იქნა ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის მიერ ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის მიერ, ა(ა)იპ „დემოკრატიის ინსტიტუტის“ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტ „ეკომიგრანტი და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების ადვოკატირების კომპანია“-ს ფარგლებში. პროექტის ზოგადი მიზანია, სამოქალაქო საზოგადოების, ბენეფიციარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთობლივი ძალისხმევით ხელი შეუწყოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკომიგრანტებისა და შესაძლო ეკომიგრანტების საცხოვრებელი, ადგილობრივ თემთან ინტეგრაციის, სოციალ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

ფრაქციის წევრების მიერ განკარგულების პროექტი შენიშვნების გარეშე იქნა მიღებული.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გაცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხიაძე. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფო რწმუნებული გუბერნატორის ადმინისტრაციიდან გადმოგზავნილი 2016 წლის 14 ნოემბრის #1308 წერილი, რომელიც ეხებოდა ანალიტიკური პროგრამით აღჭურვილი ვიდეო კამერებით განთავსების დაფინანსების საკითხს 49000 ლარის ოდენობით. განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს 30000 ლარი, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით გაიზარდოს ვალდებულებების კლება 32375 ლარით, ხოლო აღნიშნული ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფაზე მიიმაართოს 2017 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთი, ასევე განმეორებით განხილული იქნას 2016 წლის 8 დეკემბრის #01/3730 წერილი მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

სამინისტროს 2016 წლის 8 დეკემბრის #01/3730 წერილობით ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღებისათვის ხელსაყრელი პირობების შეთავაზების მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად, გადაწყდა, რომ სსიპ-საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სესხის პირობებია:

სესხის თანხა---- ლარი,

სესხის ხანგძლივობა 10 წელი,

საშელავათო პერიოდი 2019 წლის 28 ოქტომბრამდე,

საპროცენტო განაკვეთი: ცვლადი-რეფინანსირების განაკვეთს +0.5%,

გაცემის საკომისიო-სესხის თანხის 1%,

აუთვისებელი სესხის ძირის 0.5 %,

დეკლარაცია გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ააიპ „ლანჩხუთი-სერვის“ მოთხოვნილი ქონდათ 1 300 000 ლარი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა კი ბიუჯეტიდან 55 000 ლარი გამოუყო, ამჟამად კი მუნიციპალიტეტი იღებს სესხს, რომ შეიძინოს დამატებით 2 მანქანა.

როლანდ ლაშხიაძე აღნიშნა, რომ სამსახურს ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება დამატებით 2 მანქანა. სეზონზე გრიგოლეთის სანაპიროს ესაჭიროება ერთი მანქანა.

დეკლარაცია გიორგი გოგუაძე აღნიშნა, რომ მყარი ნარჩენების განთავსების ადგილზე საწრეტი არხი რომ გაკეთებულიყო კიდევ სამი წელი ექნებოდა მუნიციპალიტეტს მყარი ნარჩენებისათვის განკუთვნილი ადგილი და არ მოუხდებოდა ხარჯვითი ნაწილის გაზრდა, ასევე იქნებოდა დასაქმებული სამი-ოთხი ადამიანი.

დეკლარაცია გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ სუფსას საჭიროებიდან გამომდინარე უნდა გამოეყოს სახანძრო და სანაგვე მანქანები, მაგრამ მას მიაჩნია, რომ მაღალმთიან სოფლებში უნდა მოხდეს ტრაქტორების დახმარებით ნარჩენების გატანა, ვინაიდან ბიუჯეტი ვერ გაწვდება აღნიშნულ ხარჯებს.

რომან ბიწაძემ აღნიშნა, რომ როგორც ქალაქის მოსახლეობაა მოცული მთლიანად და ხდება ნარჩენების გატანის გადასახადის გადახდა მცხოვრებლების მიერ ასევე უნდა მოხდეს სოფლებშიც, მაგრამ ერთობლივად ვერ მოხერხდება, რისთვისაც საჭიროა პროგრამის განხორციელება დაიწყოს ეტაპობრივად.

სხვადასხვა

დეკლარაცია კახაბერ ასკურავამ კითხვით მიმართა თამარ ფირცხალაიშვილს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის გაერთიანებათა დაწესებულებაში 14 000 ლარის გაფლანგვაზე არის თუ არა პასუხისმგებელი სოციალური სამსახური, რაზეც თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ სამსახური ხელს უწყობს ა(ა)იპ-ის კოორდინირებულ მუშაობაში ხელს და მის ფუნქციას არ წარმოადგენს ფინანსურ საკითხებში ჩარევა და რომ ეს აუდიტის სამსახურის ფუნქციას წარმოადგენს.


დეკლარაცია გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ფესტივალი „კავკასიას“ ჩატარებიდან 20 დღის შემდეგ სოციალური სამსახური შევიდა განცხადებით საკრებულოში თანხის დამატებასთან დაკავშირებით, რათა დაეფარათ გაწეული ხარჯი, მაშინ, როცა ეს უნდა მომხდარიყო ფესტივალის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, რაც კანონდარღვევაა. ყოველივე ამის შემდეგ ფრაქციის სხდომაზე მოწვეული იყო ააიპ კულტურის

გაერთიანებათა დაწესებულების დირექტორის მოწვევა, რომელიც დაჟინებით გაიძახდა, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში გაკეთდა, ახლა კი ირკვევა, რომ მის პერიოდში მოხდა არასწორი გადარიცხვები.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ მისი გამგებლობის პერიოდში შეიქმნა გამგეობის აუდიტის სამსახური, რომლის ფუნქცია არის ყოველთვიურად ამოწმოს ა(ა)იპ-ები და გასცეს რეკომენდაციები, რათა აღმოიფხვრას ხარვეზები.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“
თავმჯდომარე:



ელგუჯა ჩხაიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ლანჩხუთი ევროატლანტიკური
მომავლისათვის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24 იანვარი 2017 წელი
11.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ელგუჯა ჩხაიძე	10:30	
2	გიორგი გოგუაძე	10:30	
3	კახაბერ ასკურავა	11:00	